



ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მ.შ.  
ქალბატონ ვალენტინა ნავერიანს  
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის  
სამსახურის უფროსის კონსტანტინე კორძაძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ვალენტინა,

მოგახსენებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და შპს „რეკო“-ს შორის 2021 წლის 9 აგვისტოს გაფორმდა N139/01/21 ხელშეკრულება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეთში შიდა გზების შეკეთების (მოხრეშვა) სამუშაოებზე, რომლის ღირებულება შეადგენს 23417,25 (ოცდასამი ათას ოთხასჩვიდმეტი ლარი და 25 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, დასრულების ვადა განისაზღვრა 2021 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.

2021 წლის 8 სექტემბრის N18604/11 წერილით შპს „რეკო“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა, შესრულებული სამუშაოების ფორმა №2 და მიღება-ჩაბარების აქტი (I ეტაპი), ღირებულებით 18123,25 (თვრამეტი ათას ასოცდასამი ლარი და 25 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ხელშეკრულების მე-6-ე მუხლის პუნქტი 3-ის შესაბამისად დასაკავებელი თანხა შეადგენს 906,16 (ცხრაასექვსი ლარი და 16 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოების 5%-ს.

ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 17217,09 (ჩვედმეტ ათას ორასჩვიდმეტი ლარი და 9 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

გთხოვთ თქვენს რეაგირებას.

პატივისცემით,  
კონსტანტინე კორძაძე

სამსახურის უფროსი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი